საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 3283-02
22/11/2017

„სსიპ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციისა და საინვენტარიზაციო კომისიის ფარგლებში სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ" ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 13 ნოემბრის №3191-02 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის "ზ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-19 მუხლის 1-ლი პუნქტის და მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული ,,საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის" საფუძველზე და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის უფროსის გიორგი ქობულაშვილის 2017 წლის 21 ნოემბრის N19619-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2017 წლის 13 ნოემბრის N3191-02 ბრძანების მეორე პუნქტის „ყ" ქვეპუნქტში და ის ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ყ) ანა სუხიტაშვილი - დედამიწის მეცნიერებათა შემსწავლელი ინსტიტუტი"

2. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ბრძანების გაცნობა ამ ბრძანებაში მოხსენებული პირისთვის და საინვენტარიზაციო კომისიის ყველა წევრისთვის.

ქეთევან ლაკირბაია

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი